თამაში - დაიმახსოვრე და დაალაგე რიცხვები ზრდადობით

აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა ამოვბეჭდოთ მოცემული რიცხვები და დავჭრათ ბარათებად.

□□□□□□□□.docx

რიცხვების ბარათებს ვაწყობთ დაფარული ფორმით, ვქმნით ოთხკაციან ჯგუფს (სურვილის შემთხვევაში გაზრდით რაოდენობას) და ვიწყებთ თამაშს.

მსვლელობა:

პირველი მოთამაშე ირჩევს ერთ ბარათს, ამოაბრუნებს და აჩვენებს ყველას, თუ ამ ბარათზე გამოსახულია რიცხვი 1 აგრძელებს თამაშს და ახლა მეორე ბარათს იღებს თუ ამ ბარათზე რიცხვი 2-ია გამოსახული, კვლავ ეძლევა უფლება გააგრძელოს თამაში, თუ არ აღმოჩნდა პირველი აღებული ბარათი ერთიანი, ან მეორე ბარათი რიცხვი 2, მაშინ უნდა დააბრუნოს სასურველ ადგილას, და მომდევნო მოთამაშემ გააგრძელოს თამაში. ასე გრძელდება ჯგუფში თამაში, ბავშვები იღებენ ბარათებს რიგრიგობით, რიცხვების აღების წესი უნდა ემსახურებოდეს რიცხვების ზრდადობით დალაგების წესს და საბოლოოდ გამოავლენს თამაში გამარჯვებულსაც.

აღნიშნული თამაში არის სახალისო, მოსწავლეებს სჭირდებათ ყურადღების კონცენტრაცია, უნდა მიაქციონ ყურადღება ჯგუფის წევრის მოქმედებებს და დაიმახსოვრონ მის მიერ დაბრუნებული ბარათის რიცხვი.

თამაშისათვის ბარათების რაოდენობას გადაწყვეტთ იმის მიხედვით, თუ პროგრამულად ათის ფარგლებში, თუ ოცის ფარგლებში იქნებით.

აღნიშნული აქტივობა რადგან თამაშის სახით წარიმართება სასურველია მასწავლებელმა თამაშის წესის გაცნობასთან ერთად, მოსწავლეებს შესაბამისი რუბრიკაც გააცნოს.

რუბრიკა

1. დაიცავით თამაშის წესები;
2. არ შეუშალო ხელი მეორე მოთამაშეს;
3. ობიექტურად შეაფასეთ თამაში;
4. ღირსეულად შეხვდით გამარჯვებასაც და დამარცხებასაც.

მოცემული აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს:

- მეხსიერების უნარს;
- ყურადღების კონცენტრაციას;
- თემატურად კი სწავლობენ რიცხვების ზრდადობით დალაგებას.

მუშაობის ფორმა: წყვილებში, ჯგუფებში.

რესურსი: რიცხვების ბარათები

მოცემული რესურსით, მასწავლებელს შეუძლია გაამარტივოს ან გაართულოს აქტივობა, მოარგოს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, შეამციროს ან გაზარდოს რიცხვების რაოდენობა.